ფინანსთა სამინისტრო

შემოსავლების სამსახური

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2020 წლის ანგარიში

უნთიერთობა მარტივია

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის

2020

წლის ანგარიში

პირველი რიგი
(მარჯვნიდან მარცხნივ)

სოფიო არჯევანიძე
რეფორმების და დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსი

ია იაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

ლევან კაკავა
შემოსავლების სამსახურის უფროსი

ნინო ყველაშვილი
ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსი

ნინო ფოდიაშვილი
დავების დეპარტამენტის უფროსი

მეორე რიგი
(მარჯვნიდან მარცხნივ)

ლევან წითელაშვილი
იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

მიხეილ ახვლედიანი
ფინანსური დეპარტამენტის უფროსი

თეიმურაზ გაბადაძე
საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი

პაატა კილაძე
შემოსავლების სამსახურის უფროსის მოადგილე

მამუკა ბარათაშვილი
შემოსავლების სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე

ვლადიმერ ხუნდაძე
შემოსავლების სამსახურის უფროსის მოადგილე

რომან ბუღაძე
საგადასახადო და საბაჟო მეთოდოლოგიის დეპარტამენტის უფროსი

მამუკა ჯანგულაშვილი
საბაჟო დეპარტამენტის უფროსი

ზაზა თაბაგარი
ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი

მესამე რიგი
(მარჯვნიდან მარცხნივ)

ნოდარ კაკრიაშვილი
საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის უფროსი

ლევან დგებუაძე
მომსახურების დეპარტამენტის უფროსი

ზაალ ტყეშელაშვილი
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

ლევან ბერაძე
სამსახურებრივი მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი

სამსონ ურიდია
საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსი

გიორგი ბუბუტეიშვილი
შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

ირაკლი შარტავა
შემოსავლების სამსახურის უფროსის მოადგილე

ლევან კაკავა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უფროსი

ძვირფასო კოლეგებო და მეგობრებო, ჩვენი უწყების პარტნიორებო და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებო,

წარმოგიდგენთ, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ, 2020 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშს.

COVID-19-ით გამოწვეული გლობალური პანდემიის გავრცელების შედეგად, განვითარებულმა მოვლენებმა ძირეულად შეცვალა საქართველოს სახელმწიფო ადმინისტრაციების ყველა ორგანოს, მათ შორის შემოსავლების სამსახურის, დღის წესრიგი. მხოლოდ გაერთიანებული ძალისხმევით იქნება შესაძლებელი გავუმკლავდეთ ეპიდემიას, რომელმაც ახალი გამოწვევები და ამასთან, ძვირფასი ადამიანების დაკარგვის გამო უდიდესი ტკივილი მოგვიტანა.

ჩვენი უწყება, თითოეული თანამშრომელი, პირველივე დღეებიდან იყო ჩართული ვირუსის გავრცელების პრევენციისა და პანდემიით გამოწვეული შედეგების ეფექტური მართვის პროცესში. სწრაფი ადაპტაციის პროცესში, სხვა უწყებებთან მჭიდრო თანამშრომლობით, გახდა შესაძლებელი საქართველოს საერთაშორისო ვაჭრობის ფუნქციონირების შეუფერხებლად გაგრძელება და 2020 წელში ტრანზიტული გადაზიდვების მაჩვენებლის გაზრდა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული, ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმის ფარგლებში, შემოსავლების სამსახურის მიერ განხორციელებულმა ღონისძიებებმა უზრუნველყო: მოქალაქეთა სოციალური მხარდაჭერა, მეწარმეების დახმარება და ეკონომიკის სტიმულირების მიზნით მნიშვნელოვანი რეფორმების განხორციელება.

გადასახადის გადამხდელთა მხრიდან, დისტანციური მომსახურების მიმართ გაზრდილი მოთხოვნების საპასუხოდ, შემოსავლების სამსახურმა, განაახლა საინფორმაციო-სატელეფონო ცენტრი და ოფიციალური ვებგვერდი www.rs.ge, რომელიც მთლიანად შეიცვალა და სტრუქტურით თანამედროვე ტენდენციებს მოერგო.

ეკონომიკისა და ბიზნესის მხარდაჭერის მიზნით აღსანიშნავია, დღგ-ის ზედმეტობის დაბრუნების სისტემა, რომელიც გახდა სრულად ავტომატიზირებული. ავტომატური დაბრუნების პროგრამით გამოანგარიშებული დასაბრუნებელი ზედმეტობა, გადასახადის გადამხდელთა პირად საბანკო ანგარიშზე აისახება ავტომატურად, დამატებითი მოთხოვნის წარდგენის გარეშე. ამავდროულად, საგადასახადო კანონმდებლობის ევროკავშირის დღგ-ის დირექტივასთან დაახლოების მიზნით, ცვლილებები შევიდა საგადასახადო კოდექსში. საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე დაფუძნებული დღგ-ის ახალი რეფორმა, გააუმჯობესებს საინვესტიციო გარემოს, შეამცირებს სადავო შემთხვევებს და გაამარტივებს საგადასახადო ვალდებულებების შესრულებას.

აღსანიშნავია, რომ განხორციელებული რეფორმების შედეგად, გამარტივდა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერის პროცედურა, ასევე მომზადდა საგადასახადო შემოწმების ახალი დოკუმენტი, რომლიც მნიშვნელოვნად გაამარტივებს საგადასახადო შემოწმების აღრიცხვიანობის ადმინისტრირების პროცესს და ხელს შეუწყობს რისკზე დაფუძნებული აუდიტის განხორციელებას, ხოლო გადასახადის გადამხდელებისთვის დაიზოგება დროის რესურსი. ელექტრონული სერვისების გაუმჯობესების მიზნით, ასევე აღსანიშნავია საგადასახადო დავების განხილვის დისტანციური ფორმატი, რომელიც პანდემიის მიუხედავად, ჩვეულ რეჟიმში შეუფერხებლად მიმდინარეობდა.

უწყების მიერ, შემუშავდა და ვებგვერდზე განთავსდა შემოსავლების სამსახურის 2021-2024 წლების სტრატეგია, რომელიც წარმოადგენს სამსახურის ხედვას მომდევნო წლებში საგადასახადო და საბაჟო ადმინისტრირების გაუმჯობესების მიმართულებით.

2021 წლიდან, საგადასახადო კანონმდებლობაში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც კომპანიების მხრიდან სავალდებულოა დაქირავებულ პირთა ელექტრონული რეესტრის შევსება. მონაცემთა ახალი ბაზის ფორმირება ითვალისწინებს დაქირავებულ პირთა შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის თავმოყრას და შექმნილია სხვადასხვა ევროპული ქვეყნის პრაქტიკის შესაბამისად. ამასთან, ამოქმედდა, დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციასთან დაკავშირებული ახალი მექანიზმი - „დღგ-ის კვალიფიციური გადამხდელის სტატუსი“, რომელიც საგადასახადო ადმინისტრირების პროცესის დახვეწას, თაღლითური სქემების რისკების მართვას, ასევე, არამიზნობრივად დღგ-ის რეგისტრაციისა და შესაბამისი დოკუმენტების არამართლზომიერად გამოწერის შემცირებას ისახავს მიზნად.

2020 წელს, საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) მიერ შემოსავლების სამსახურში განხორციელდა საგადასახადო ადმინისტრაციების დიაგნოსტიკური შეფასება. შედეგების მიხედვით, მნიშვნელოვნად არის გაუმჯობესებული შეფასების 14 ინდიკატორი.

დასასრულს მინდა მადლობა გადავუხადო, ჩვენი დიდი ხნის, სტრატეგიულ პარტნიორებსა და საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებს შემოსავლების სამსახურის მხარდაჭერისათვის და იმედს გამოვთქვავ, რომ მომავალშიც ჩვენი თანამშრომლობა იქნება ნაყოფიერი და ეფექტური. ასევე, უდიდესი მადლობა თითოეულ თანამშრომელს, 2020 წელს გაწეული საქმიანობისა და ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში შეტანილი წვლილისთვის. ჩვენ გვყავს თანამშრომელთა კვალიფიციური გუნდი და გაგვაჩნია რწმენა, რომ შევძლებთ უწყების წინაშე არსებული ამოცანების გადაწყვეტასა და გამოწვევების დაძლევას.

მისია

საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა, ნებაყოფლობითი კანონშესაბამისობის ხელშეწყობით და სამართალდარღვევებზე შესაბამისი რეაგირების ღონისძიებების განხორციელებით.

ხედვა

მომხმარებელზე ორიენტირებული სერვისების მიწოდებით და კანონშესაბამისობის მართვის თანამედროვე მიდგომების გამოყენებით, ვქმნით მაქსიმალურად ხელსაყრელ გარემოს ნებაყოფლობითი კანონშესაბამისობის ასამაღლებლად.

ორგანიზაციული ღირებულებები



შემაჯამებელი მიმოხილვა

პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების მართვის პროცესში, შემოსავლების სამსახურს ძირითად საქმიანობასთან ერთად მნიშვნელოვანი როლი დაეკისრა საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული ანტიკრიზისული გეგმის შესრულებაში. წერტილოვანი შეზღუდვების განმავლობაში განხორციელებული ღონისძიებები მეტწილად მიმართული იყო გადასახადის გადამხდელთა ვალდებულებათა შემსუბუქების და მათი ბიზნეს-პროცესების უწყვეტობის ხელშეწყობის, აგრეთვე საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფისკენ.

მიუხედავად ქვეყანაში არსებული გამოწვევებისა, შემოსავლების სამსახურმა შეძლო არსებულ გამოწვევებთან გამკლავება და 2020 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების დიდი ნაწილის შესრულება.

წინამდებარე ანგარიში მოიცავს 2020 წელს შემოსავლების სამსახურის მიერ განხორციელებული სტრატეგიული პროექტების და ძირითადი მაჩვენებლების შესახებ ინფორმაციას. ასევე, COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების განმავლობაში საგადასახადო და საბაჟო მიმართულებით განხორციელებულ მნიშვნელოვან აქტივობებს.

საგადასახადო შემოსავლების დინამიკა



კორონავირუსის პანდემიის (COVID-19) მართვის პროცესში მონაწილეობა

შემოსავლების სამსახური ძირითადი საქმიანობის პარალელურად, ქვეყანაში კორონავირუსის (Covid-19) პანდემიით გამოწვეული სირთულეების დაძლევისას აქტიურად იყო ჩართული საქართველოს მთავრობის ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმის განხორციელების პროცესში.

წერტილოვანი შეზღუდვების გამო, გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო ტვირთის შემსუბუქების მიზნით, განხორციელდა საშემოსავლო და ქონების გადასახადების გადავადება. 2020 წელს, საშემოსავლო და ქონების გადასახადები გადაუვადდა სულ - 6 545 გადამხდელს, ჯამში - 219 810 061 ლარი.



სამსახური აქტიურად იყო ჩართული ბიზნესსექტორთან ეფექტიანი კომუნიკაციის პროცესში:

- გახანგრძლივებული გრაფიკით მუშაობდა სამსახურის საინფორმაციო-სატელეფონო ცენტრი;
- სისტემატიურად მიმდინარეობდა ონლაინ ფორმატში შეხვედრები მეწარმე სუბიექტებთან;
- შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდზე განთავსდა COVID-19-ის ბანერი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას პანდემიის განმავლობაში შემოსავლების სამსახურის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებზე, შეთავაზებულ სერვისებზე, საგადასახადო და საბაჟო კუთხით დაწესებულ შეღავათებსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე;
- youtube-ზე განთავსდა ვიდეოინსტრუქცია,[1] მომზადდა გზამკვლევები ელექტრონული სერვისების გამოყენების შესახებ, რათა დაინტერესებულ პირს გაუმარტივდეს შემოსავლების სამსახურის მიერ შეთავაზებული ელექტრონული სერვისებით სარგებლობა;

1 https://www.youtube.com/watch?v=NLqeCP3I7OQ

- შემოსავლების სამსახურის თანამშრომლები შეზღუდვების პერიოდში დახმარებას უწევდნენ მთავრობის ერთიან ცხელ ხაზს (144) უწყვეტი ფუნქციონირების პროცესში;
- მთავრობის ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში 300 ლარიანი ერთჯერადი კომპენსაციის მისაღებად შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდზე განთავსდა სარეგისტრაციო განაცხადი და ვიდეოინსტრუქცია.[2] პირებს, რომლებსაც შეეხოთ დაწესებული წერტილოვანი შეზღუდვები, შესაძლებლობა მიეცათ შემოსავლების სამსახურისთვის ელექტრონულად მიმართვით მარტივად მიეღოთ კუთვნილი კომპენსაცია.
- შემოსავლების სამსახურის მოძრავი სერვისცენტრი RS CAR მეწარმე სუბიექტებს საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა ლოკაციაზე ემსახურებოდა. უწყების თანამშრომლები მეწარმეებს, ანტიკრიზისული გეგმით გათვალისწინებული კომპენსაციებისა და საგადასახადო შეღავათების შესახებ ინფორმაციას აწვდიდნენ და მათთვის საინტერესო კითხვებს პასუხობდნენ.

შემოსავლების სამსახურის აქტივობა საინფორმაციო საშუალებების მიხედვით



2 https://www.youtube.com/watch?v=35UNvIsT_oQ&ab_channel=RevenueService&fbclid=IwAR3MLkDEzbVRz-j0Bejwga2qMun8uECI1pL-5sIqzlZXzWzBzki-SKK79xfU

საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

- პანდემიის შედეგად დაწესებული დროებითი პროცედურების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყო ყველა მნიშვნელოვან საერთაშორისო პლატფორმაზე: გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია - UNECE, მსოფლიო საბაჟო ორგანიზაცია-WCO, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია-OSCE, ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის საგადადასახადო ადმინისტრაციების ფორუმი OECD - FTA, საგადასახადო ადმინისტრაციების შიდაევროპული ორგანიზაცია IOTA და სხვა.
- UNECE-ს 2020 წლის ანგარიშში "COVID-19-ის გავლენა საქართველოს ვაჭრობასა და სტრუქტურულ ტრანსფორმაციაზე"[3], დადებითად არის შეფასებული საქართველოს მთავრობის მიერ პანდემიის შედეგების შესამსუბუქებლად განხორციელებული ღონისძიებები, კერძოდ, ეფექტიანი რისკზე დაფუძნებული ინტეგრირებული საზღვრის მართვის სისტემის კონტექსტში, სახმელეთო გადაზიდვების გაზრდილი რაოდენობის მიუხედავად, საქართველომ ეფექტურად შეინარჩუნა ეპიდემიოლოგიური კონტროლი. დამოუკიდებელ კვლევაში კერძო სექტორის 300-ზე მეტი წარმომადგენელი მონაწილეობდა.

საბაჟო მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები

საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში, შემოსავლების სამსახურის მიერ განხორციელებულმა ღონისძიებებმა უზრუნველყო საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ტვირთებისა და მგზავრთა შეუფერხებელი/უსაფრთხო გადაადგილება, კერძოდ:

- COVID-19-ის გავრცელების საფრთხის შემცირებისა და ეპიდემიოლოგიური სიტუაციის მართვის მიზნით, შემოსავლების სამსახურის ეპიდემიოლოგების მიერ ხორციელდება საქართველოში შემოსულ მგზავრთა ინდივიდუალური მონიტორინგი;
- საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღმკვეთი ღონისძიებების ფარგლებში საზღვაო, საჰაერო დ ა სახმელეთო შემოსასვლელ პუნქტებზე მოეწყო საიზოლაციო სივრცეები;
- საბაჟო გამშვებ პუნქტებზე დამონტაჟდა დისტანციური თერმოსკანერები (12 თერმოსკანერი);
- ვირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, თანამშრომლებს გადაეცათ COVID-19-ისგან დამცავი პერსონალური აღჭურვილობა (სახის დამცავი ფარები, პირბადეები, ბიოკომბინიზონები, სამედიცინო ხალათები, დამცავი სათვალეები, ბახილები, რესპირატორები, ერთჯერადი ხელთათმანები და სხვა);
- შემოსავლების სამსახურის ყველა ობიექტზე, შესაბამისი სადეზინფექციო საშუალებების გამო-

3 https://unece.org/fileadmin/DAM/trade/StudiesRegulatoryProceduralBarriersTrade/ThematicPublications/Impact_COVID-19_Georgia.pdf

ყენებით ხორციელდებოდა შენობა-ნაგებობების და სატრანსპორტო საშუალებების დამუშავება; სურსათის ეროვნული სააგენტოს ხელშეწყობით გამოყენებულ იქნა სპეციალური ტექნიკა საზღვრებზე ტვირთების სადეზინფექციო დამუშავების მიზნით;

- COVID-19 შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების მიზნით, შემოსავლების სამსახურში დამატებით აყვანილი იქნა 78 თანამშრომელი, მათ შორის 28 ეპიდემიოლოგი და 50 ოპერატორი, რომლებიც გადამზადდნენ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან კოორდინირებით;
- სახმელეთო პუნქტებზე, აეროპორტებსა და პორტებში განთავსდა საინფორმაციო შტენდერები, ბანერები და საინფორმაციო ბროშურები; გარდა ამისა, საბაჟო საზღვარზე სატვირთო ავტომობილის მძღოლებს გადაეცემათ სხვადასხვა ენაზე ნათარგმნი საინფორმაციო ბუკლეტები საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილებასა და საბაჟო ფორმალობების განხორციელებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ;
- საერთაშორისო გადაზიდვებში მონაწილე მძღოლთა სწრაფი ტესტირების მიზნით, სახმელეთო საზღვრებსა და პორტებში მოეწყო სამედიცინო პუნქტები (ტესტირება ჩაუტარდა 146 000 -ზე მეტ მძღოლს);
- შესაბამის უწყებებთან კოორდინაციით შემუშავდა COVID-19-ის მაღალი გავრცელების არეალის მქონე რეგიონებიდან შემოსულ მგზავრთა რეგისტრაციის პროგრამული უზრუნველყოფა;
- საქართველოს სახმელეთო სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებსა და სამივე აეროპორტში დამონტაჟდა საველე კარვები, სადაც შესაძლებელია შემოსული მგზავრები სპეციალურ დაწესებულებაში გადაყვანამდე განთავსდნენ და გაიარონ შესაბამისი სამედიცინო შემოწმება;
- დაავადების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების მიზნით, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან კოორდინირებით, გადამზადდა სამოცამდე ახალი ექიმი-ეპიდემიოლოგი. რეკომენდაციების და პროტოკოლების მიხედვით ინსტრუქტაჟი მიიღო 44-მა ეპიდემიოლოგმა და 42-მა ოპერატორმა;
- რამდენიმე თვის განმავლობაში, ტრანზიტულად მოძრავი სატრანსპორტო საშუალება დაექვემდებარა სავალდებულო გაცილებას, მაღალი რისკის ზონებად განსაზღვრული ქვეყნებიდან გადაადგილებული სატვირთო სატრანსპორტო საშუალების მძღოლის ჩანაცვლება განხორციელდა სხვა ფიზიკური პირით, რომელიც არ განეკუთვნებოდა რისკჯგუფს;
- საბაჟო საზღვარზე ავტოსატრანსპორტო საშუალების გაჩერება ხდება მხოლოდ სპეციალურად მოწყობილ ტერიტორიებზე;
- ავტოიმპორტიორებს, 2020 წლის 1 მაისამდე შემოყვანილ ავტომობილებზე, განბაჟებისთვის დაწესებული 90-დღიანი ვადა გადაუვადდათ 2021 წლის 1 მარტამდე (შეღავათი შეეხო დაახლოებით 38 ათასამდე მანქანის მფლობელს, ჯამში დაახლოებით 50 მლნ ლარი);
- ბიზნეს სექტორისათვის ბარიერების შემსუბუქების მიზნით, გამარტივდა იმპორტის პროცედურები საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ გარკვეულ პროდუქციაზე, კერძოდ, გადავადებული იქნა არასასურსათო დანიშნულების ზოგ პროდუქტზე მთავრობის

დადგენილებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა რეგლამენტთან შესაბამისობის სასაზღვრო კონტროლი, ასევე, იმპორტირებული ფრინველის ხორცისადმი დაწესებული დამატებითი მოთხოვნები;

- სასურსათო დანიშნულების პროდუქციის იმპორტის გამარტივების მიზნით, ცვლილება შევიდა ნორმატიულ აქტებში, შედეგად, პროდუქცია გათავისუფლდა დამატებითი დოკუმენტების წარდგენისაგან, ასევე ნებადართული გახდა საჭირო დოკუმენტების ელექტრონული ფორმით წარდგენა;
- უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, 2020 წლის 1 ოქტომბრამდე, დამატებული ღირებულების გადასახადისგან გათავისუფლდა სამკურნალო/სამედიცინო მიზნებისათვის განკუთვნილი შემდეგი საქონლის მიწოდება ან/და იმპორტი: დამცავი ფარები, ბახილები, ხელთათმანები, საიზოლაციო კომბინიზონები, სამედიცინო ხალათები, სამედიცინო ხალათების, ქუდებისა და ბახილების კომპლექტები, პლასტმასის დამცავი სათვალეები, პირბადეები და ნიღბები, უკონტაქტო თერმომეტრები;
- COVID-19-ის საფრთხის შემცირებამდე და მისი შემცირების შემდგომ, ევროკომისიის სათანადო შეტყობინების მიღებამდე, შესაძლებელი გახდა EUR.1 გადაადგილების სერტიფიკატის ასლის სახით წარდგენა, შესაბამისი შეთანხმებებით გათვალისწინებული შეღავათების სარგებლობის მიზნით;
- შემოსავლების სამსახური ახორციელებდა საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, დროებითი ღონისძიების სახით, გარკვეული ფარმაცევტული პროდუქტისა და სამედიცინო დანიშნულების საგნების საქართველოდან გატანის (ექსპორტისა და რეექსპორტის) შეზღუდვის კონტროლს.

COVID 19-ის შეზღუდვების შესრულების მონიტორინგი

შემოსავლების სამსახური სხვა სახელმწიფო უწყებებთან ერთად მონაწილეობდა საქართველოს მთავრობის დადგენილებით დაწესებული წერტილოვანი შეზღუდვების შესრულების მონიტორინგის პროცესში:

- განხორციელდა იმ გადასახადის გადამხდელთა გაფრთხილება, რომელთაც მთავრობის დადგენილების შესაბამისად ეკრძალებოდათ ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება, ხოლო დადგენილების ამოქმედების შემდეგ, პერიოდულად ხდებოდა მათი მონიტორინგი როგორც აკრძალული საქმიანობის, ასევე ნებადართული საქმიანობის ფარგლებში შესაბამისი მოთხოვნების დაცვის მიმართულებით. ქვეყნის მასშტაბით განხორციელდა 21250 ვიზიტი;
- საგანგებო მდგომარეობის პერიოდში, ადგილზე ვიზიტით შემოწმდა 7535 გადამხდელის საქმიანობის შესაბამისობა მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან მიმართებაში;

- საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის გამო, საგანგებო მდგომარეობის განმავლობაში შედგა 221 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, საჯარიმო სანქციამ ჯამში შეადგინა 1 713 000 ლარი, ხოლო 5 იურიდიულ პირს განესაზღვრა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა (განმეორებითი შემთხვევა);
- საგანგებო მდგომარეობის პერიოდში განხორციელდა ქსელურ სუპერმარკეტებში 9 ძირითადი მოხმარების საკვები პროდუქციის ყოველდღიური სარეალიზაციო ფასის კონტროლი;
- სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების გახსნამდე, მოხდა მათი ადგილზე შემოწმება დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ მიღებული მოთხოვნების შესრულების დადგენის მიზნით. შემოწმდა 372 სკოლა და 1033 სკოლამდელი დაწესებულება;
- წერტილოვანი შეზღუდვების შემოღებამდე, მოხდა 12150 გადასახადის გადამხდელის გაფრთხილება დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ მიღებული შესაბამისი მოთხოვნების შესრულებაზე;
- 2020 წლის 28 ნოემბრიდან 3 დეკემბრის ჩათვლით, საქართველოს მასშტაბით 9510 გადამხდელთან განხორციელდა ადგილზე ვიზიტი და მოხდა მათი გაფრთხილება კოვიდ-რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით;
- ყოველდღიურად ხორციელდება ჟანგბადის მწარმოებელ კომპანიებში ჟანგბადის წარმოების პროცესის მონიტორინგი და შესაბამისი მონაცემების დამუშავება.

2020 წელს განხორციელებული მნიშვნელოვანი ღონისძიებები

საგადასახადო ადმინისტრაციის დიაგნოსტიკური შეფასება

საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) მხარდაჭერით, 3 წლიანი პროექტის ფარგლებში შემოსავლების სამსახურის მიერ განხორციელებული რეფორმების პროგრესის შეფასების მიზნით, 2020 წელს, IMF-ის მიერ დიაგნოსტიკური შეფასება (TADAT)[4] განხორციელდა. ანგარიშის მიხედვით, შემოსავლების სამსახურმა 2016 წლის შეფასებასთან[5] შედარებით მნიშვნელოვანი გაუმჯობესება აჩვენა TADAT-ის რვა ძირითადი მიმართულების 14 შეფასების ინდიკატორში, კერძოდ:

1. დაინერგა თანამედროვე საგადასახადო რეგისტრაციის სისტემა;
2. გაუმჯობესდა კანონშესაბამისობის რისკის იდენტიფიცირების და მართვის პროცესი, რომლისთვისაც წარმატებით იქნა გამოყენებული მესამე მხარის ინფორმაცია;
3. საჩივრების განხილვა ხორციელდება დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი დავების მართვის სისტემის გამოყენებით;
4. გადასახადის გადამხდელებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ელექტრონული სერვისების გაფართოებული არჩევანით;
5. დაინერგა დღგ-ის ავტომატური დაბრუნების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს დღგ-ის თანხის დაბრუნების გამარტივებულ და სწრაფ პროცედურებს.



შეფასების შედეგად, ასევე გამოვლინდა გამოწვევები, რაც მნიშვნელოვანია შემდგომი გაუმჯობესების და ახალი რეფორმების დაგეგმვისთვის. შემოსავლების სამსახური საერთაშორისო სავალუტო ფონდთან (IMF) თანამშრომლობას გააგრძელებს ახალი პროექტის ფარგლებში, რომელშიც განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება იმ გამოწვევებზე და საჭიროებებზე, რაც აჩვენა დიაგნოსტიკურმა შეფასებამ.

4 https://www.tadat.org/home
5 https://www.imf.org/external/pubs/ft/scr/2016/cr16283.pdf

შეხვედრები მეწარმეებთან და ბიზნეს ასოციაციებთან

შემოსავლების სამსახურის ინიციატივით, მეწარმეებთან და საქართველოს ბიზნეს ასოციაციის წარმომადგენლებთან თბილისში, ასევე საქართველოს 5 დიდ ქალაქში (ბათუმი, ფოთი, ქუთაისი, თელავი, რუსთავი) სამუშაო შეხვედრები გაიმართა.

მხარეებს შესაძლებლობა ჰქონდათ ესაუბრათ ბიზნესის წინაშე არსებულ გამოწვევებზე, ბიზნესგარემოს გაუმჯობესების შესაძლებლობებსა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივებზე. ასევე, გაცნობოდნენ დღგ-ის ახალ რეფორმას, გადასახადების ადმინისტრირების ახალ გამარტივებულ პროცედურებს, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გამარტივებული ჩამოწერის წესის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას. შეხვედრები დიალოგის ფორმატში წარიმართა და ბიზნესსექტორის წარმომადგენლებს შესაძლებლობა მიეცათ მათთვის საინტერესო კითხვებზე ამომწურავი პასუხები მიეღოთ.

პანდემიის შედეგად დაზარალებულთა მხარდაჭერის პროგრამის გაცნობის მიზნით, შეხვედრები საქართველოს ბიზნეს ასოციაციის წარმომადგენლებთან და მეწარმე სუბიექტებთან გაიმართა. მხარეებს შესაძლებლობა ჰქონდათ ესაუბრათ ანტიკრიზისული გეგმის მეორე ეტაპით გათვალისწინებულ კომპენსაციებსა და საგადასახადო შეღავათებზე და ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით დაგეგმილი ეკონომიკური პროექტები განეხილათ.

საბაჟოს საერთაშორისო დღე

2020 წლის 24 იანვარს, ფოთის გაფორმების ეკონომიკურ ზონაში საბაჟოს საერთაშორისო დღე აღინიშნა. საბაჟოს საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე მაღალი პროფესიონალიზმისთვის, მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის (WCO) მიერ დაწესებული ღირსების მოწმობები სამსახურის 19 თანამშრომელს და პარტნიორ უწყებებს გადაეცათ.

ინფორმაციის გაცვლა რეგიონში არსებული გამოწვევების შესახებ

ვიდეოკონფერენციის ფორმატში შეხვედრები გაიმართა საქართველოს შემოსავლების სამსახურის და თურქეთის ვაჭრობის სამინისტროს ოფიციალური პირების მონაწილეობით. მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს ინფორმაცია COVID-19-ით შექმნილი ეკონომიკური გამოწვევების ფონზე გატარებული და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. ასევე, განხილული იქნა სატრანზიტო ფორმალობები და კონტროლის ეფექტური მექანიზმები.

შემოსავლების სამსახურის მონაწილეობა BRITACOM-ის ონლაინ კონფერენციაში

შემოსავლების სამსახურის უფროსმა, მსოფლიოს სხვადასხვა საგადასახადო ადმინისტრაციის ხელმძღვანელ პირებთან, ასევე საერთაშორისო საგადასახადო ორგანიზაციებისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლებთან ერთად, მონაწილეობა მიიღო BRITACOM-ის ვიდეოკონფერენციაში.

შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს Covid-19-ის პირობებში საგადასახადო ადმინისტრაციების დღის წესრიგში არსებული გამოწვევები, გადასახადის გადამხდელთა ხელშეწყობის მიზნით შემოღებული შეღავათები და აქტიური თანამშრომლობის საკითხები. შეხვედრის ფარგლებში, სამსახურის უფროსმა, საგადასახადო ადმინისტრაციების წარმომადგენლებს, კრიზისიდან გამოსვლისა და საგადასახადო ტვირთის შემსუბუქების მიზნით, საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული ცვლილებებისა და უწყების საქმიანობის შესახებ პრეზენტაცია წარუდგინა.

შემოსავლების სამსახურის მონაწილეობა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) საგადასახადო ადმინისტრაციათა ფორუმის (FTA) პლენარულ შეხვედრაში

შემოსავლების სამსახურის უფროსის პირველმა მოადგილემ მონაწილეობა მიიღო ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) საგადასახადო ადმინისტრაციათა ფორუმის (FTA) მე-13 პლენარული შეხვედრაში, რომელიც ონლაინ ფორმატში გაიმართა. პლენარულ შეხვედრას დაესწრო მსოფლიოს 50-ზე მეტი საგადასახადო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პირი და სამასზე მეტი დელეგატი, მათ შორის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ბიზნეს-სექტორის წარმომადგენლები. პლენარულ შეხვედრაზე გაზიარებული იქნა საქართველოს გამოცდილება, კოვიდ-პანდემიის პერიოდში შემოსავლების სამსახურის მიერ მთავრობის მხარდასაჭერად გაწეული საქმიანობისა და მასთან დაკავშირებული გამოწვევების შესახებ. პლენარული შეხვედრისთვის, შემოსავლების სამსახურის მიერ მომზადდა ვიდეო-პრეზენტაცია, დღგ-ის ზედმეტობის ავტომატური დაბრუნების პროგრამისა და დავების ელექტრონულად განხილვის პლატფორმის შესახებ. აღნიშნული ვიდეო-პრეზენტაცია განთავსდა OECD FTA-ის ვებ-გვერდზე და OECD-ის YouTube არხზე[6].

6 https://www.youtube.com/watch?v=ja8RFu6Yobo&feature=youtu.be

გამოცდილების გაზიარება ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) საგადასახადო ადმინისტრაციათა ფორუმის (FTA) ფარგლებში

COVID-19-ის პანდემიასთან დაკავშირებით, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) საგადასახადო ადმინისტრაციათა ფორუმის (FTA) მიერ ორგანიზებული იქნა ვირტუალური საერთაშორისო შეხვედრები, რომელთა მიზანი იყო, მსოფლიოს მასშტაბით სხვადასხვა ქვეყნის ადმინისტრაციის წარმომადგენელთა შორის პანდემიასთან დაკავშირებულ გამოწვევებთან საპასუხოდ გამოცდილების გაზიარება.

შემოსავლების სამსახურის მიერ განხორციელდა საქართველოს გამოცდილების შესახებ ინფორმაციის მიწოდება საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, რომელიც აისახა და გამოქვეყნდა FTA-ის ანგარიშებში. მათ შორის, აღსანიშნავია 3 ძირითადი დოკუმენტი:

1. COVID-19-ის პირობებში გადასახადის გადამხდელთა დახმარება[7];
2. COVID-19-ის პირობებში ადმინისტრაციის ბიზნეს-პროცესების უწყვეტობა[8];
3. COVID-19-ის კრიზისიდან აღდგენის გამოწვევები და რეკომენდაციები[9].

7 https://www.oecd.org/tax/forum-on-tax-administration/publications-and-products/tax-administration-responses-to-covid-19-measures-taken-to-support-taxpayers.htm

8 https://www.oecd.org/tax/forum-on-tax-administration/publications-and-products/tax-administration-responses-to-covid-19-business-continuity-considerations.htm

9 https://www.oecd.org/tax/forum-on-tax-administration/publications-and-products/tax-administration-responses-to-covid-19-recovery-period-planning.htm

საგადასახადო და საგაჭრო ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული კანონშესაბამისობის ამაღლება

მომხმარებელთა საჭიროებებზე მორგებული სერვისების დანერგვა



- გადასახადის გადამხდელთა მხრიდან, დისტანციური მომსახურების მიმართ გაზრდილი მოთხოვნის საპასუხოდ, შემოსავლების სამსახურმა განაახლა საინფორმაციო-სატელეფონო ცენტრი. განახლებული ცენტრის საინფორმაციო ტექნოლოგიებში ინტეგრირებულია ყველა საჭირო საკომუნიკაციო არხი, როგორიცაა ონლაინ ჩათი, SMS სერვისი, ავტომატური გადარეკვის ფუნქციონალი და IVR-ის „ვირტუალური კონსულტანტის“ ფუნქცია, რომლის მეშვეობით მომხმარებელს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია კონსულტანტთან დაკავშირების გარეშე. შემოსავლების სამსახურის განახლებულ სატელეფონო ცენტრს, საგადასახადო ადმინისტრაციების შიდა ევროპულმა ორგანიზაციამ (IOTA) სპეციალური სტატია მიუძღვნა[10].

- გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით განახლდა შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდი. უწყების განახლებულ ვებ-პორტალზე, სრულად შეიცვალა და თანამედროვე ტენდენციებს მოერგო დიზაინი და სტრუქტურა. საკონსულტაციო მონაცემები დაიყო ორ ძირითად ჯგუფად - ფიზიკური პირი და იურიდიული პირი, სპეციალური სივრცე დაეთმო საკანონმდებლო სიახლეებს. განახლებული ვებ-გვერდი მომხმარებელს, COVID-19-თან დაკავშირებულ სხვადასხვა ინფორმაციას, ასევე, რეკომენდაციებსა და რეგულაციებსაც სთავაზობს.

შემოსავლების სამსახურის ახალი ვებ-გვერდის შექმნაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საქართველოს ბიზნეს ასოციაციის, საქართველოს ბანკებისა და საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციების, ასევე, საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაციის წარმომადგენლებმა. ამასთან, პროექტის ფარგლებში, აქტიური თანამშრომლობა შედგა საქართველოს ბიზნეს ომბუდსმენის აპარატისა და საქართველოს საერთაშორისო საავტომობილო გადამზიდავთა ასოციაციის წარმომადგენლებს შორის.

10 https://www.iota-tax.org/news/revenue-service-georgia-updates-its-call-centre-infrastructure-0

1 შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდზე განთავსდა 200-მდე განახლებული საკონსულტაციო სტატია, რომელთა უმეტესობა ითარგმნა ინგლისურ ენაზე. ასევე, განახლდა შემოსავლების სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებული 300-მდე საკანონმდებლო აქტი და მედია სიახლეების განთავსების არე.

2 ვებ-გვერდის სატესტო რეჟიმში მუშაობისას, დაინერგა ახალი საკომუნიკაციო არხი – RS ჩათი, რომლის მეშვეობითაც კონსულტაციის გაწევა სრული დატვირთვით უახლოეს მომავალში იქნება შესაძლებელი. აღსანიშნავია, რომ ვებ-გვერდის მართვის პროცესში, მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო უკუკავშირის პროგრამის ანალიზს, რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს დააფიქსიროს მოსაზრებები ვებ-გვერდის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

3 შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდის განახლებული ვერსიის გაშვებიდან, დღემდე, მას 9 მილიონზე მეტი ნახვა აქვს, ხოლო დღიურად საშუალოდ 65 000 მომხმარებელი სტუმრობს.

- საგადასახადო დავების ელექტრონული პლატფორმის პროექტის ფარგლებში, გადასახადის გადამხდელებს შესაძლებლობა მიეცათ დისტანციურად, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით ჩართულიყვნენ შემოსავლების სამსახურის დავების განხილვის საბჭოს მუშაობაში და მონაწილეობა მიეღოთ საჩივრის განხილვის პროცესში (ვებექსის მეშვეობით). დავების განხილვის პროცესში აქტიურად გამოიყენება ე.წ. „good faith''- კეთილსინდისიერი გადამხდელის პრინციპი, რომლის საშუალებითაც 2020 წელს სანქციისგან სრულად/ნაწილობრივ გათავისუფლდა 1500-ზე მეტი კეთილსინდისიერი გადამხდელი. პროექტის ფარგლებში:
  - ხელმისაწვდომი გახდა wiki.rs.ge - სამართლებრივი შინაარსის ელექტრონული ბიბლიოთეკა;
  - შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდზე საგადასახადო დავის წარმოების და საჩივრის ფორმების შესახებ ინფორმაცია და ვიდეო ინსტრუქცია განთავსდა.
- დისტანციური სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, შემუშავდა ელექტრონული განცხადებები, რომელიც ხელმისაწვდომია შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდზე, მათ შორის: პირისთვის ფარმაცევტული საწარმოს სტატუსთან, მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსთან, საერთაშორისო კომპანიის სტატუსთან დაკავშირებით. გარდა ამისა, გაფართოვდა იმ ელექტრონული-დისტანციური სერვისების ჩამონათვალი, რომელთა საშუალებითაც ბიზნეს ოპერატორებს შეუძლიათ გაფორმების ეკონომიკურ ზონებში დოკუმენტების ფიზიკურად წარდგენის გარეშე, დისტანციურად განახორციელონ საბაჟო ფორმალობები, ასევე შეუძლიათ მოიპოვონ ტვირთისა და სატრანსპორტო საშუალების ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაცია.
  - შემოსავლების სამსახურის სერვისების განვითარების ტენდენციებზე საგადასახადო ადმინისტრაციების შიდა ევროპული ორგანიზაციის (IOTA) ელექტრონულ წიგნში სპეციალური სტატია [11] გამოქვეყნდა.

11 https://www.iota-tax.org/sites/default/files/documents/publications/Books/iota_book_2020_may_applying_new_technologies_and_digital_solutions_in_tax_compliance-online.pdf

- გაფორმების ეკონომიკურ ზონაში „თბილისი“ ამოქმედდა სამსახურის ვებ-გვერდიდან რიგის ონლაინ დაჯავშნის სერვისი, რომელიც ეკონომიკური ოპერატორის დროით რესურსს მნიშვნელოვნად დაზოგავს.

კანონთან შესაბამისობის რისკის მართვა

2020 წელს, შემოსავლების სამსახურში, გადასახადის გადამხდელთა კანონთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, შემუშავდა კანონშესაბამისობის რისკის მართვის ახალი პროგრამები, რომელიც 2021 წელს სრულად დაინერგება. პროგრამები ითვალისწინებს გადამხდელის საქმიანობასთან დაკავშირებულ შესაძლო შეუსაბამობების შესახებ გადამხდელის ადრეულ ეტაპზე ინფორმირებას და მიმდინარე კონტროლის ღონისძიებების ეფექტიან გამოყენებას.

კანონთან შესაბამისობის პროგრამები იყოფა სამ ძირითად მიმართულებად:

1. საგადასახადო რეგისტრაციის უზრუნველყოფა;
2. დეკლარაციების დროულად წარმოდგენის ხელშეწყობა;
3. დეკლარაციების სისწორის კონტროლი.

კანონშესაბამისობის პროგრამების შესასრულებლად და რესურსების ეფექტიანად გადანაწილების მიზნით, 2020 წელს განხორციელდა საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის რეორგანიზაცია, რის საფუძველზეც მოხდა თანამშრომლების ფუნქციურად დაყოფა და შესაბამისი პროგრამების მიხედვით მათი გადამზადება. პროგრამის ფარგლებში, დასახული ამოცანების შესასრულებლად საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის სულ 255 თანამშრომელი გადამზადდა.

კანონშესაბამისობის პროგრამების დანერგვის ფარგლებში 2020 წელს:

1. შემუშავდა ყველა პროგრამის განხორციელების საოპერაციო გეგმა და მეთოდოლოგიური დოკუმენტები;
2. შემუშავდა პროგრამების შეფასების ძირითადი ინდიკატორები.

2020 წელს, დეკლარაციების სისწორის კონტროლის ფარგლებში, გადასახადის გადამხდელების მიერ წარმოდგენილი საშემოსავლო და მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციები შესწავლილი იქნა სატესტო რეჟიმში.



დღგ-ის ავტომატური დაბრუნების სისტემა

დღგ-ის ზედმეტობის დაბრუნების სისტემა გახდა სრულად ავტომატიზირებული. 2020 წელს, დღგ-ის ავტომატური დაბრუნების პროგრამის გამოყენებით დაბრუნდა მილიარდ ლარზე მეტი, რაც 466 მლნ. ლარით აღემატება 2019 წელს დაბრუნებული დღგ-ის ოდენობას.



სავარაუდო დარიცხვა

დღგ-ის „საშუალო“ სიდიდის გადამხდელებისთვის ამოქმედდა სავარაუდო დარიცხვის მექანიზმი. სავარაუდო დარიცხვა გულისხმობს, საგადასახადო ორგანოს მიერ კონკრეტული საგადასახადო პერიოდისთვის გადასახადის აღრიცხვასა და ასახვას იმ გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ძირითად ბარათზე, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, შესაბამისი პერიოდის დეკლარაცია არ აქვს წარმოდგენილი.

დარიცხვა განხორციელდა ნოემბრის თვის წარუდგენელ დღგ-ის დეკლარაციებზე - 1 დეკლარაცია 20 000 ლარი.

ბუნებრივი რესურსების მოსაკრებლის ადმინისტრირება

მნიშვნელოვანი პროცესები წარიმართა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის მოსაკრებლის ადმინისტრირების კუთხით. სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული ლიცენზიების და გადასახადის გადამხდელთა მიერ წარდგენილი ათვისების გეგმების საფუძველზე, ბუნებრივი რესურსების მოსაკრებლის დარიცხვის გეგმა შემუშავდა. დამუშავებული მონაცემების საფუძველზე, გადასახადის გადამხდელებს განესაზღვრათ სავადო თარიღების მიხედვით საგადასახადო ვალდებულება და განხორციელდა შესაბამისი დარიცხვა. პროექტის ფარგლებში, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დარიცხული მოსაკრებლის თანხამ 950 000 ლარზე მეტი შეადგინა. დარიცხვის პარალელურად, 3765 ლიცენზიის მფლობელს, ელექტრონულ გვერდზე საინფორმაციო შინაარსის შეტყობინება ვალდებულების სისწორის გადამოწმების და შესრულების თაობაზე გაეგზავნა. პროცესის დასრულებისას სამსახური გადავა მოსაკრებლის ადმინისტრირების ახალ ეტაპზე, რაც შესაძლებლობას მისცემს მოახდინოს საგადასახადო ვალდებულებების ავტომატური დარიცხვა.

ფინანსური ინფორმაციის ავტომატური გაცვლა

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით, 2020 წელს დასრულდა ფინანსური ინფორმაციის ავტომატური გაცვლის საპილოტე პროექტის პირველი ფაზა, რომლის ფარგლებშიც მომზადდა პირველად კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებების პროექტი და მეორადი კანონმდებლობის უმეტესი ნაწილი - ფინანსთა მინისტრის ბრძანებისა და ინსტრუქციის პროექტები. შემოსავლების სამსახურისთვის შეძენილი იქნა თანამშრომლების ელექტრონული სწავლების მოდულის 3 წლიანი ლიცენზია და რამდენიმე პროგრამული უზრუნველყოფა, მათ შორის:

- ინციდენტების მართვის მოდული (Neupart), რომელიც წარმოადგენს ინფორმაციის უსაფრთხოების მართვის სისტემის (ISMS) განუყოფელ ნაწილს;
- პროექტების მართვის პროგრამული უზრუნველყოფა - JIRA.

საერთაშორისო პარტნიორებისა და დიდი ოცეულის (G 20) მიმართ, საქართველომ, 2023 წლიდან, ყველა დაინტერესებულ და მნიშვნელოვან პარტნიორთან ფინანსური ანგარიშების შესახებ ინფორმაციის ავტომატურ რეჟიმში გაცვლის ვალდებულება ოფიციალურად აიღო. 2023 წლის სექტემბერში, საქართველო პირველად გაცვლის აღნიშნულ ინფორმაციას.

ნებართვების გაცემის ერთიანი ელექტრონული სისტემის დანერგვა

საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილე პირებისთვის ხელმისაწვდომი გახდა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანა/გატანასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია. მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს მიიღოს შემდეგი ინფორმაცია:

- კონკრეტული საქონლის ჭრილში კანონმდებლობით განსაზღვრული სატარიფო და არასატარიფო ღონისძიებების შესახებ;
- წარსადგენი ნებართვების და სერტიფიკატების შესახებ;
- ნებართვების და სერტიფიკატების მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის და გამცემი უწყებების შესახებ.

დაინტერესებულ პირს შეუძლია ელექტრონული ფორმით მიიღოს შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული ნებართვა ან სერთიფიკატი. ამასთან, მიმდინარეობს მუშაობა შესაბამის უწყებებთან, რათა შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდიდან შესაძლებელი გახდეს ყველა სახის ნებართვა/სერტიფიკატის ელექტრონულად მოთხოვნა და მიღება ერთი ფანჯრის პრინციპით.

საკანონმდებლო და პროცედურული სიახლეები

საგადასახადო შემოწმების დაგეგმვის და ეფექტიანი მართვის მიზნით:

- განახლდა საგადასახადო შემოწმების აქტის ფორმა, ახალ ფორმას დაემატა მნიშვნელოვანი ინფორმაციული ველები და შემცირდა აქტის მოცულობა;
- დამტკიცდა მეთოდური მითითება „საგადასახადო შემოწმების დანიშვნის/მასშტაბის შეცვლის და შეწყვეტის კრიტერიუმების შესახებ“, რაც განსაზღვრავს წინასწარი შესწავლის ეტაპზე შემოწმების დანიშვნის მიზანშეწონილობის გადახედვას არსებითი რისკის გაქარწყლების შემთხვევაში. აღნიშნული დოკუმენტი დეტალურად იქნა განხილული აუდიტორული კომპანიების წარმომადგენლებთან.

ცვლილების მიზანია:

1. დროითი რესურსის დაზოგვა;
2. არსებული რესურსების სწორად გადანაწილება;
3. ხარისხის კონტროლის სტანდარტის დაცვა;
4. საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან დაახლოება;
5. ზუსტი და რისკზე დაფუძნებული აუდიტის განხორციელება.

2020 წლის მდგომარეობით, 53 გადასახადის გადამხდელთან შეწყდა საგადასახადო შემოწმებები, ხოლო 37 პირთან შემცირდა საგადასახადო შემოწმების მასშტაბი.

- მომზადდა ოპერაციების შეფასების ცალმხრივი წინასწარი შეთანხმების წესი. გადასახადის გადამხდელის მიმართვის საფუძველზე შემოსავლების სამსახურის უფროსი უფლებამოსილია დადოს წინასწარი შეთანხმება გადამხდელთან საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციის მიზნებისათვის. კანონმდებლობით გათვალისწინებული აღნიშნული შესაძლებლობა დადებითად იმოქმედებს ბიზნეს გარემოსა და უცხოური კომპანიების მხრიდან საქართველოში საქმიანობით დაინტერესების დონეზე.
- წარმატებით განხორციელდა საგადასახადო კონტროლის განხორციელებასთან დაკავშირებით მოსამართლის ბრძანების მოპოვების ფუნქცია, მათ შორის სასამართლოში სამსახურის წარმომადგენლობის ფუნქცია, ასევე კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, საგადასახადო ორგანოს მიერ კომერციული ბანკისგან პირის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე შუამდგომლობის სასამართლოში წარდგენისა და აღნიშ-

ნულ საქმეებზე სასამართლოში სამსახურის წარმომადგენლობის ფუნქციები. 2020 წლის 25 დეკემბრის მდგომარეობით, შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა, ჯამში 419 სასამართლო სხდომაზე მიიღეს მონაწილეობა.

- დამტკიცდა "აუდიტორთა ეთიკის კოდექსი", რომელიც წარმოადგენს იმ ზოგადი წესების და ძირითადი პრინციპების ერთობლიობას, რომლებიც განსაზღვრავს აუდიტორთა ქცევის წესს სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების პერიოდში. ეთიკის კოდექსის შემუშავების მიზანია პროფესიული ეთიკის ზოგადი პრინციპების დამკვიდრება აუდიტორთა სანიმუშო ქცევის უზრუნველსაყოფად.

2020 წლის განმავლობაში, შემუშავდა პროცედურული ნორმები როგორც საგადასახადო, ისე საბაჟო მიმართულებით, რაც ითვალისწინებს ბიზნესის საჭიროებებზე ორიენტირებულ პროცესებს და ამავდროულად იძლევა საგადასახადო და საბაჟო მიმართულებით სათანადო ადმინისტრირების განხორციელების შესაძლებლობას, კერძოდ:

1. დამტკიცდა კანონშესაბამისობის ღონისძიების პროცესის ხარისხის კონტროლის სტანდარტები, რომლის მიხედვითაც ხორციელდება ხარისხის კონტროლის ღონისძიებები და შესაბამისი ანგარიშგების წარმოება;
2. დამტკიცდა საბაჟო ღირებულების კონტროლის პროცედურული სახელმძღვანელო;
3. დამტკიცდა ახალი სერვისის შექმნის, ასევე არსებული სერვისის გაუმჯობესების, განახლებისა და გაუქმების ინსტრუქცია;
4. დამტკიცდა სავარაუდო დარიცხვის ინსტრუქცია;
5. მომზადდა ყადაღის დადების პროცედურული სახელმძღვანელო;
6. მომზადდა ფიქსირებული გადასახადის გადამხდელთათვის დარიცხული გადასახადის შემცირების წესის პროცედურული სახელმძღვანელო;
7. გამარტივდა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერის წესი.

სათამაშო ბიზნესის კონტროლის ელექტრონული სისტემის დანერგვა/ფუნქციონირებასთან დაკავშირებით შემუშავდა და მომზადდა რიგი საკანონმდებლო ცვლილებები.

გადასახადის გადამხდელებს შესაძლებლობა მიეცათ დისტანციურად, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით, ჩაერთონ წინასწარი გადაწყვეტილების განმხილველი ჯგუფის სამუშაო პროცესში და მონაწილეობა მიიღონ წინასწარი გადაწყვეტილების მოთხოვნების განხილვაში. 2020 წელს გამოიცა 58 წინასწარი გადაწყვეტილება.

ნებაყოფლობითი კანონშესაბამისობის ამაღლების მიზნით შემუშავდა:

- „საგადასახადო და საბაჟო სფეროში ცნობიერების დონის ამაღლების კონცეფცია“, რომლის მიზანია საგადასახადო და საბაჟო მიმართულებებით საზოგადოების ცნობიერების დონის ამაღლება და მაღალი საგადასახადო კულტურის ჩამოყალიბება;
- „უკუკავშირის კონცეფცია“, რომელშიც მოიაზრება უკუკავშირის სისტემის დანერგვა მომხმარებელთა კმაყოფილების დონის ამაღლების მიზნით. აღნიშნული სისტემის ფარგლებში, განახლებულ ვებ-გვერდზე დაინერგა უკუკავშირის მექანიზმი, იმისათვის, რომ ნებისმიერმა მომხმარებელმა შეაფასოს მიღებული მომსახურება და რეკომენდაციები მომსახურების გაუმჯობესების მიზნით წარმოადგინოს.

ინსტიტუციური განვითარება და მდგრადობა

შემოსავლების სამსახურის მეორე სტრატეგიული მიზნის ფარგლებში, 2020 წლის განმავლობაში განხორციელდა პროექტები, რომლებმაც ხელი შეუწყო ორგანიზაციის შიდა შესაძლებლობების გაძლიერებას და ეფექტიანობის ზრდას.

შიდა აუდიტის ფუნქციური გამართვა

მოქმედი კანონმდებლობისა და სტანდარტების შესაბამისად, შემუშავდა და დამტკიცდა შიდა აუდიტის დეპარტამენტის დებულება. დეპარტამენტი დაკომპლექტდა შესაბამისი შრომითი რესურსით, შემუშავდა და დამტკიცდა სტრატეგიული და წლიური გეგმები, რომლის მიხედვითაც, შიდა აუდიტის დეპარტამენტი ახორციელებს შიდა აუდიტორულ საქმიანობას.

ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემის განვითარება

ინფორმაციული უსაფრთხოების განვითარების მიზნით:

- დანერგილია ინფორმაციული უსაფრთხოების საერთაშორისო ISO 27001 სტანდარტის პირველი ფაზის 85%;
- აღწერილია ძირითადი ბიზნეს პროცესები და ინფორმაციული აქტივები, იდენტიფიცირებულია მათთან დაკავშირებული რისკები და შემუშავებულია რისკების მინიმიზაციის რეკომენდაციები;
- შეიქმნა ინფორმაციული უსაფრთხოების ძირითადი პოლიტიკა, რომელიც დადასტურებულია მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მიერ;
- შეიქმნა ინფორმაციული უსაფრთხოების მხარდამჭერი შემდეგი დოკუმენტები:
    - დისტანციური წვდომის პოლიტიკა;
    - ინფორმაციის გადამტანი საშუალებების მართვის პოლიტიკა;
    - ინფორმაციული აქტივების სარგებლობის პოლიტიკა;
    - პაროლების მართვის პოლიტიკა;
    - უსაფრთხოების საბჭოს დებულება;
    - ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის გავრცელების სფეროს დოკუმენტი;
    - რისკების იდენტიფიცირებისა და შეფასების მეთოდოლოგია.

- GIZ-ის დაფინანსებით შეძენილი იქნა ონლაინ ტრენინგის პლატფორმა, რომლის ბაზაზეც ინ-ფორმაციული უსაფრთხოების საკითხებზე ონლაინ ტრენინგი გაიარა და გამოცდა ჩააბარა სამსახურის ყველა თანამშრომელმა;
- ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის ეფექტური ადმინისტრირების და ISO პრო-ცესების სამართავად, შეძენილი იქნა მართვის პლატფორმა, რომელიც არსებითად შეამცი-რებს რესურსების საჭიროებას ISO 27001 განსახორციელებლად, აუდიტის გავლას და რე-სერტიფიკაციას. პლატფორმა რისკების რეესტრის წარმოების, შეფასების და კალიბრაციის შესაძლებლობას იძლევა.

ადამიანური რესურსების მართვა და განვითარება

თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის, დაგროვილი პროფესიული ცოდნის და გამოცდილების გაზიარების მიზნით, შემუშავდა „შემოსავლების სამსახურის თანამშრომლე-ბისთვის ცალკეული ფუნქციების დაკისრებისა და შესრულების წესი“, რომელიც დეპარტამენტებ-ში აკუმულირებული დარგობრივი ცოდნის გაზიარების გზით უზრუნველყოფს თანამშრომელთა კარიერული განვითარების და თვითრეალიზების შესაძლებლობების ზრდას.

შემოსავლების სამსახურის ელექტრონული სწავლების (e-learning) პლატფორმაში ჩაშენდა OECD–ის საგადასახადო პოლიტიკის ცენტრის ელექტრონული სწავლების პროგრამის საერთა-შორისო დაბეგვრის შესახებ სასწავლო კურსები, რომელიც შემოსავლების სამსახურის თანამ-შრომლებს საშუალებას აძლევს გაიარონ მათთვის საჭირო ან საინტერესო ინტერაქტიული ფორ-მატის კურსი და დასრულების შემდგომ OECD სერტიფიკატი მიიღონ.

ადამიანური რესურსების მართვის და განვითარების მიმართულებით 2020 წელს განხორციელდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, მათ შორის:

- პროფესიული და პიროვნული უნარ-ჩვევების ამაღლების მიზნით, შესაბამისი ტრენინგი გაია-რა 780-მა თანამშრომელმა;
- სტაჟირების კურსი გაიარა და აუცილებელი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები შეიძინა 103 სტაჟიორმა;
- გადასახადის გადამხდელთათვის ხარისხიანი მომსახურების მიწოდების და ეფექტური კომუ-ნიკაციისთვის დაჯილდოვდა 33 თანამშრომელი;
- საჯარო სამსახურის ბიუროს ადმინისტრირებული ვებ-გვერდის www.hr.gov.ge მეშვეობით, ღია და გამჭვირვალე კონკურსის საფუძველზე შეირჩა და შესაბამის პოზიციაზე დაინიშნა 130 თანამშრომელი;
- შესრულებული სამუშაოდან გამომდინარე, პროფესიული უნარების შეფასების შედეგად და-წინაურდა 111 თანამშრომელი, ხოლო სხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფში ჰორიზონტალური გადაადგილება განხორციელდა 239 თანამშრომლის მიმართ;

- შეიქმნა შემოსავლების სამსახურის თანამშრომელთა მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების ახალი სისტემა, რომელიც ეფუძნება მიზნებსა (70%) და კომპეტენციებს (30%). შეფასების კომპონენტები განისაზღვრება შემოსავლების სამსახურის სტრატეგიული მიზნების შესაბამისად.

თანამშრომელთა შეფასების სისტემის მიზანია:

1. მიღწეული მიზნების დონის განსაზღვრა;
2. საუკეთესო და კარგი შედეგების მქონე თანამშრომლის კარიერული წინსვლა, მათი შედეგების შენარჩუნებაზე ზრუნვა;
3. საშუალო შედეგების მქონე თანამშრომლის კვალიფიკაციის ამაღლება;
4. სტაბილურად არადამაკმაყოფილებელი შედეგის მქონე თანამშრომლების მიმართ კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვით შესაბამისი ღონისძიებების (დისციპლინური პასუხისმგებლობა, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა) გატარება.



შემოსავლების სამსახურში დასაქმებული თანამშრომლების სტატისტიკა





აუდიტის საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის დანერგვა

დასრულდა აუდიტის საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის დანერგვის პროექტი, რომლის მუშაობაც, პირველ ეტაპზე სატესტო რეჟიმში მიმდინარეობს. აუდიტის დეპარტამენტის 24 თანამშრომელს ჩაუტარდა ტრენერთა ტრენინგი, რომელთგან შეირჩა 6 ტრენერი შემდგომში ყველა აუდიტორის ეტაპობრივად გადამზადების მიზნით.

პროექტის მართვის სისტემა JIRA-ს დანერგვა

შემოსავლების სამსახურში მიმდინარეობს პროექტების მართვის Agile მეთოდოლოგიის დანერგვა, რომელიც სატესტო რეჟიმში ფუნქციონირებს IT პროექტების განხორციელებისთვის. ამასთან, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით, შემოსავლების სამსახურისთვის შეძენილი იქნა პროექტების მართვის ელექტრონული პლატფორმა JIRA, რაც მნიშვნელოვნად გაამარტივებს პროექტების მიმდინარეობის მონიტორინგს, როგორც პროექტების განმახორციელებელი ჯგუფების, ასევე სამსახურის ხელმძღვანელობის მხრიდან.

მონაცემთა დამუშავების და ანალიზის სისტემა

შემოსავლების სამსახურში არსებული და მესამე მხარიდან მიღებული მონაცემების შეგროვების, ანალიზის და მართვის სისტემის ჩამოყალიბების მიზნით, 3 წლიანი პროექტის ფარგლებში, მიმდინარე წელს განხორციელდა მნიშვნელოვანი სამუშაოები, კერძოდ:

- შეძენილი იქნა სერვერული და კომპიუტერული ინფრასტრუქტურა;
- სერვერებზე გამართული იქნა ოპერაციული სისტემები, ქსელური ინფრასტრუქტურა შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა და მონაცემთა ანალიტიკური სისტემები;
- განხორციელდა მესამე მხარიდან მიღებული ინფორმაციის სისტემაში ინტეგრაცია;
- განხორციელდა ანალიტიკური პლატფორმის ინსტალაცია;
- შემუშავდა მონაცემთა ხარისხობრივი ანალიზის სისტემა (DQM);
- შეიქმნა მონაცემთა საცავის ინფრასტრუქტურული არქიტექტურული დიზაინი სერვერების და სერვისების განაწილების შესახებ;
- განხორციელდა მონაცემთა გაწმენდა/ტრანსფორმაცია;
- განხორციელდა თანამშრომელთა გადამზადება SQL-სა და მონაცემთა დამუშავების საფუძვლებში;
- აქტიურად მიმდინარეობს სიმულაციები მონაცემთა ტრანსფორმაციასა (ETL) და საცავის მოდელის მოწყობაზე.

2020 წელს, ინფორმაციის მიღება/გაცვლაზე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა 12 სახელმწიფო უწყებასთან, რის საფუძველზეც ინფორმაციის მიღება და გაცვლა ხორციელდება სისტემატიურ რეჟიმში. მესამე მხარის ინფორმაციაზე წვდომა აძლიერებს სამსახურის ანალიტიკურ შესაძლებლობებს, რომ ეფექტიანად უზრუნველყოს გადასახადისგან თავის არიდების შემთხვევების გამოვლენა და ანალიზი, ამავდროულად სრულყოფილად განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებული უფლება-მოვალეობები.

საბაჟო რისკების მართვის სისტემის მოდერნიზაცია

ამერიკის შეერთებული შტატების ექსპორტის კონტროლისა და საზღვრის უსაფრთხოების (EXBS) პროგრამის ფარგლებში, საბაჟო რისკების მართვის სფეროში ანალიტიკური პროგრამების დანერგვის პროცესი დაიწყო. შემუშავებულია პროგრამის ფუნქციონალი და მიმდინარეობს ტექნიკური ხასიათის სამუშაოები. პროექტი გაგრძელდება 2021 წელს, რომლის ფარგლებში, ასევე დაგეგმილია მონაცემთა ავტომატური ანალიზის სისტემის „Machine Learning“ დანერგვა.

საქართველოს ფოსტასთან ურთიერთთანამშრომლობა

შემოსავლების სამსახურს და საქართველოს ფოსტას შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. საქართველოს ფოსტა, მსოფლიო საფოსტო კავშირის პროექტის (SECUREX) ფარგლებში, ჩართულია წინასწარი საბაჟო დეკლარირების ელექტრონულ სისტემაში, რომელიც საფოსტო ადმინისტრაციებსა და შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს შორის გზავნილების შესახებ ინფორმაციის წინასწარ გაცვლას ითვალისწინებს.

საბაჟოს ტექნიკური აღჭურვილობის გაუმჯობესება

გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთობლივი პროექტის ,,საქართველოში მონრეალის ოქმის განხორციელების სამოქმედო პროგრამა" ფარგლებში, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს შვიდი სპეციალური იდენტიფიკატორი გადაეცა, რომელსაც როგორც ოზონდამშლელი ნივთიერებების, ისე ნარევების იდენტიფიცირება შეუძლია. აღნიშნული, პორტატული აღჭურვილობა ,,თბილისის", ,,ფოთისა" და ,,ბათუმის" გაფორმების ეკონომიკურ ზონებში გადანაწილდა, ხოლო 4 იდენტიფიკატორი ,,წითელი ხიდის", ,,სადახლო საავტომობილოს", ,,ყაზბეგის" , ასევე, ,,სარფის" საბაჟო გამშვებ პუნქტებზე განთავსდა და ხელს შეუწყობს სამართალდარღვევების აღკვეთა/გამოვლენას.

საერთაშორისო თანამშრომლობა

ევროკავშირთან ინტეგრაციული პროცესების მხარდაჭერა

დამატებული ღირებულების გადასახადის რეფორმა

საგადასახადო კანონმდებლობის ევროკავშირის დღგ-ის დირექტივასთან დაახლოების მიზნით, ცვლილებები შევიდა საგადასახადო კოდექსში და დღგ-ის მარეგულირებელი დებულებები ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით. საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე დაფუძნებული დღგ-ის რეფორმა აუმჯობესებს საინვესტიციო გარემოს, ამცირებს სადავო შემთხვევებს და ამარტივებს საგადასახადო ვალდებულებების შესრულებას.

რეფორმის შედეგად:

- ფართოვდება მომსახურებების ჩამონათვალი, რაც საქართველოს ფარგლებს გარეთ არ დაიბეგრება;
- ფართოვდება და ზუსტდება საქონლის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლებული ოპერაციები;
- საქონლის დროებითი შემოტანა აღარ განიხილება დასაბეგრ ოპერაციად;
- სამედიცინო და საგანმანათლებლო საქმიანობასთან ერთად დაბეგვრისგან თავისუფლდება მასთან უშუალოდ დაკავშირებული და დამხმარე მომსახურების ან საქონლის მოწოდება;
- არ დაიბეგრება ორგანიზაციის მიერ სახსრების მოზიდვის მიზნით სამედიცინო საგანმანათლებლო და ცალკეული სოციალური ხასიათის საქმიანობა;
- არ დაიბეგრება საქონლის ნიმუშის ან მცირე ღირებულების საჩუქრის გადაცემა;
- მარტივდება საქონლის უსასყიდლოდ მიწოდების დღგ-ით დაბეგვრასთან დაკავშირებული რეგულაციები;
- დღგ-ის გადამხდელ ფიზიკურ პირს აღარ ექნება შეზღუდვა აღრიცხვა აწარმოოს საკასო მეთოდით.

ევროკავშირის ტექნიკური დახმარების (დაძმობილების) პროექტის დახურვა

2020 წელს, ევროკავშირის ტექნიკური დახმარების (დაძმობილების) პროექტი - «ტრანზიტის საერთო პროცედურების (CTC) კონვენციასთან მიერთებისა და ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის (NCTS) დანერგვის ხელშეწყობა“ დასრულდა. პროექტის ფარგლებში, საქართველოს და ევროკავშირის კანონმდებლობის შედარების საფუძველზე მომზადდა შესაბამისი რეკომენდაციების და განსახორციელებელი ცვლილებების პროექტი, შემუშავდა NCTS სისტემის დანერგვისთვის საჭირო ფუნქციური და არაფუნქციური მოთხოვნები, ჩამოყალიბდა საკონტაქტო ჯგუფი ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან და გაიმართა საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები. გაფორმდა ხელშეკრულება ევროკავშირსა და „გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციას“ (UNCTAD) შორის, რომლის საგანია შემოსავლების სამსახურისთვის ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის (NCTS) პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვა. პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ, რომლის ბიუჯეტი შეადგენს 1,000,000 ევროს, ხანგრძლივობა - 24 თვეს.

- საქართველო დარეგისტრირდა ევროკავშირის SPS კონტროლს დაქვემდებარებულ ელექტრონულ სისტემაში - TRACES.
- საქართველოსა და ევროკომისიის გადაწყვეტილებით, ასოცირების შეთანხმების მე-13 დანართში განხორციელდება ცვლილებები, რაც უზრუნველყოფს შემოსავლების სამსახურის და ფინანსთა სამინისტროს მიერ გაწეული სამუშაოს ასახვას საერთაშორისო ხელშეკრულების ტექსტში. აღნიშნული ცვლილებები ემსახურება მომავალი საკანონმდებლო ჰარმონიზაციის სამართლებრივი საფუძვლების შექმნას.

სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები

- სატესტო რეჟიმში ამოქმედდა საქართველოსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის საქონლის წარმოშობის შესახებ მონაცემთა ელექტრონული გაცვლის სისტემა, რაც უზრუნველყოფს ორ ქვეყანას შორის თავისუფალ ვაჭრობასთან დაკავშირებული ფორმალობების გამარტივებას.
- საქართველომ მხარი დაუჭირა „პან-ევრო-ხმელთაშუა ზღვის პრეფერენციული წარმოშობის შესახებ რეგიონული კონვენციის" ახალი რედაქციის წინასწარი გამოყენების საკითხს, რის

შედეგადაც ევროკომისიამ მიიღო გადაწყვეტილება ასოცირების შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

- შემოსავლების სამსახურმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) საგადასახადო ადმინისტრაციათა ფორუმის (FTA) ორ პროექტში:
  - „საგადასახადო ადმინისტრაცია 2030“ ფარგლებში, შემუშავდა ანგარიში „საგადასახადო ადმინისტრაცია 3.0: საგადასახადო ადმინისტრაციის ციფრული ტრანსფორმაცია“[12].
  - „მცირე და საშუალო ზომის საწარმოები“ ფარგლებში, შემუშავდა ანგარიში „მცირე და საშუალო ზომის საწარმოების მხარდაჭერა საგადასახადო საკითხებში - სტრატეგიული გეგმა“[13].
- შემოსავლების სამსახურმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ინფორმაციის გაცვლისა და გამჭვირვალობის გლობალური ფორუმის ონლაინ შეხვედრებში, კერძოდ:
  - ექსპერტთა შემფასებელი ჯგუფის (PRG) შეხვედრა
  - ავტომატური გაცვლის ექსპერტთა შემფასებელი ჯგუფის (APRG+) შეხვედრა
  - OECD-ის მე-10 სამუშაო ჯგუფის (Working Party 10) შეხვედრა

აღნიშნული შეხვედრები დაკავშირებული იყო გლობალური ფორუმის ორ მთავარ სტანდარტთან - საფინანსო ინფორმაციის ავტომატური გაცვლა (AEOI) და მოთხოვნის საფუძველზე ინფორმაციის გაცვლა (EOIR). აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა შემფასებელ ჯგუფში (PRG) საქართველოს წევრობა გახანგრძლივდა 2021-2022 წწ..

- სარტყელი და გზის ინიციატივის (BRITACOM) ფარგლებში, შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა ონლაინ რეჟიმში გაიარეს ტრენინგი თემებზე: „რისკების მართვა“ და „საგადასახადო შეთანხმებები“.
- საგადასახადო ადმინისტრაციების შიდა-ევროპულ ორგანიზაციასთან (IOTA) თანამშრომლობის ფარგლებში, საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის თანამშრომელი ორი წლის ვადით არჩეული იქნა ორგანიზაციის შიდა აუდიტორად.
- აზიის განვითარების ბანკთან (ADB) ინიცირებული იქნა პროექტი, რომლის მიზანია საერთაშორისო კონტროლირებულ ოპერაციებთან დაკავშირებული წინასწარი შეთანხმების პროგრამის („Advance Pricing Agreement“) დანერგვის ხელშეწყობა. პროექტის ფარგლებში, განხორციელდა მოწვეული ექსპერტის მიერ საერთაშორისო კონტროლირებულ ოპერაციებთან დაკავშირებული წინასწარი შეთანხმების მარეგულირებელი კანონმდებლობის შესწავლა და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება.

12 https://www.oecd.org/tax/forum-on-tax-administration/publications-and-products/tax-administration-3-0-the-digital-transformation-of-tax-administration.htm

13 https://www.oecd.org/tax/forum-on-tax-administration/publications-and-products/supporting-smes-to-get-tax-right-strategic-planning.htm

სტატისტიკური მონაცემები

მომსახურების მაჩვენებლები






2020 წლის ელ.განცხადებებში covid-19-თან დაკავშირებული განაცხადების წილი
100%
90%
80%
70%
60%
50%
40%
30%
20%
10%
0%
100%
100%
92%
8%
92%
8%
56%
43%
1%
71%
28%
1%
84%
16%
89%
11%
92%
8%
94%
6%
97%
3%
41%
59%
იან.
თებ.
მარტ.
აპრ.
მაის.
ივნ.
ივლ.
აგვ.
სექტ.
ოქტ.
ნოემ.
დეკ.
საშემოსავლო და ქონების გადასახადის გადავადებასთან დაკავშირებული განცხადებები - 7,357
კომპენსაციასთან დაკავშირებული განცხადებები - 192,925
სხვა განცხადებები - 625,677


2020 წელს მინიჭებული სამეწარმეო სტატუსების რაოდენობები
15 606
6 363
1,690
33
11
9
მცირე-ბიზნესი
მიკრო-ბიზნესი
ფიქსირებული
მაღალმთიანი დასახლების საწარმო
სპეციალური სავაჭრო კომპანია
ტურისტული კომპანია


TAX FREE
2020 წელს დაბრუნებული Tax Free
Tax Free ქვითრების რაოდენობა
4 000 000
3 000 000
2 000 000
1 000 000
-
3 090 437
2 634 347
1 325 840
68 065
17 120
269 120
370 498
339 306
375 365
359 366
416 018
413 557
6 598
4 759
2 467
262
656
998
1 388
1 286
1 346
1 428
1 486
1 516
იან.
თებ.
მარტ.
აპრ.
მაის.
ივნ.
ივლ.
აგვ.
სექტ.
ოქტ.
ნოემ.
დეკ.


2020 წელს ალკოჰოლურ სასმელზე გაცემული აქციზური მარკების რაოდენობა
(ადგილობრივი და იმპორტი)
893 964
979 300
749 378
232 000
209 000
598 236
966 000
562 000
700 000
491 000
653 000
1 329 000
იან.
თებ.
მარტ.
აპრ.
მაის.
ივნ.
ივლ.
აგვ.
სექტ.
ოქტ.
ნოემ.
დეკ.


2020 წელს არაალკოჰოლურ სასმელზე გაცემული არააქციზური მარკების რაოდენობა
(მატერიალური, არამატერიალური)
მატერიალური
არამატერიალური
5 037 000
39 366 281
11 930 000
35 783 401
5 693 000
43 411 642
3 124 000
29 225 264
5 446 000
30 540 556
11 664 000
52 215 020
8 260 000
57 681 256
7 119 000
59 113 238
6 777 000
53 993 081
4 396 000
44 693 150
4 779 000
38 673 255
9 046 000
38 193 799
იან.
თებ.
მარტ.
აპრ.
მაის.
ივნ.
ივლ.
აგვ.
სექტ.
ოქტ.
ნოემ.
დეკ.


2020 წელს ლუდზე გაცემული აქციზური მარკების რაოდენობა (ადგილობრივი, იმპორტი)
ადგილობრივი
იმპორტი
3 446 696
3 707 129
5 074 873
4 348 299
7 073 336
8 364 729
9 326 429
7 014 565
6 401 522
4 806 927
3 793 447
3 134 495
881 400
367 000
810 000
360 000
887 600
326 120
860 000
1 220 000
470 000
940 000
300 000
540 000
იან.
თებ.
მარტ.
აპრ.
მაის.
ივნ.
ივლ.
აგვ.
სექტ.
ოქტ.
ნოემ.
დეკ.


2020 წელს ადგილობრივ და იმპორტულ თამბაქოზე გაცემული აქციზური მარკების რაოდენობა
ადგილობრივი
იმპორტი
668 000
5 651 600
728 000
13 717 400
8 173 000
26 029 000
7 010 000
17 500 000
3 505 000
9 428 400
677 000
38 740 600
2 392 000
20 471 600
92 000
5 423 000
221 000
37 397 800
3 852 000
42 490 200
3 800 000
19 008 000
3 616 000
8 374 200
იან.
თებ.
მარტ.
აპრ.
მაის.
ივნ.
ივლ.
აგვ.
სექტ.
ოქტ.
ნოემ.
დეკ.

აუდიტის მაჩვენებლები





აქტით დარიცხული თანხების სტატისტიკური მონაცემები რეგიონების ჭრილში

	თბილისი	აფხაზეთი	აჭარა	გურია	იმერეთი-რაჭა-ლეჩ-ხუმი-ქვ.სვანეთი	კახეთი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	სამცხე-ჯავახეთი	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი	ჯამი
რაოდენობა	2,232	12	522	122	507	286	334	118	372	251	4,756
თანხა (მლნ.ლარი)	661.1	0.5	103.6	16.1	91.0	72.6	133.0	30.5	73.8	58.4	1240,5

აქტით დარიცხული თანხების სტატისტიკური მონაცემი გადასახადის სახეების ჭრილში (მლნ. ლარი)

მოგება	დღგ, დღგ საბა-ჟო, უპუდაბეგვრა	საშემოსავლო	ქონება	მიწა სასოფლო	მიწა არასასო-ფლო	აქციზი	იმპორტი	საბაჟო მოსაკრე-ბელი	ბუნებრივი რესუ-რსები	საათამაშო ბიზნესი	სხვა გადასახადი	სულ
110.0	212.6	250.5	2.1	0.8	0.3	16.5	0.6	0.0	1.4	1.3	0.0	596.3

აქტით დარიცხული თანხების სტატისტიკური მონაცემები თანხების დიაპაზონის ჭრილში

	სულ	0 > ლარი	0 ლარი	0 - 10,000 ლარი	10,000 - 100,000 ლარი	100,000 - 500,000 ლარი	500,000 - 1,000,000 ლარი	1,000,000 > ლარი
გასვლითი სრული	**657**	**25**	**21**	**68**	**200**	**261**	**42**	**40**
	100%	4%	3%	10%	30%	40%	6%	6%
გასვლითი თემატური	**67**	**2**	**14**	**9**	**32**	**9**	**1**	**0**
	100%	3%	21%	13%	48%	13%	1%	0%
კამერალური სრული	**2,088**	**40**	**138**	**322**	**647**	**630**	**143**	**168**
	100%	2%	7%	15%	31%	30%	7%	8%
კამერალური თემატური	**1,944**	**41**	**495**	**437**	**716**	**209**	**14**	**32**
	100%	2%	25%	22%	37%	11%	1%	2%
სულ	**4,756**	**108**	**668**	**836**	**1,595**	**1,109**	**200**	**240**
	100%	2%	14%	18%	34%	23%	4%	5%

აუდიტის მიერ აღსრულებული დავების გადაწყვეტილებებით შემცირდა საგადასახადო შემოწმების აქტებით დარიცხული 367,18 მლნ.ლარიდან (ძირითადი - 232,40 მლნ ლარი; ჯარიმა -134,78 მლნ.ლარი) - 122,28 მლნ.ლარი (ძირითადი - 74,39 მლნ.ლარი; ჯარიმა - 47,89 მლნ.ლარი).





საგადასახადო მონიტორინგის მაჩვენებლები

მიმდინარე კონტროლის პროცედურები



დასრულებული ინვენტარიზაცია - 1 249 (მათ შორის - 890 სრული, შერჩევითი- 359), სანქცია - 4 339 594 ლარი (მათ შორის: სრული - 4 150 086 ლარი, შერჩევითი - 189 509 ლარი).



საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების წესების დაცვის კონტროლის პროცედურა - 10 090, გამოვლენილი სამართალდარღვევა 2 719 (მათ შორის გაფრთხილება - 2 497), სანქცია - 68 700 ლარი.







საბაჟოს მაჩვენებლები

გაფორმებული საქონლის საბაჟო დეკლარაციები

2020 წელს გაფორმდა 277 156 საქონლის საბაჟო დეკლარაცია, მათ შორის - 193 675 თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში, ხოლო - 53 563 ექსპორტის პროცედურაში. აღსანიშნავია, რომ წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით ექსპორტის პროცედურაში გაფორმებული საქონლის საბაჟო დეკლარაციების რაოდენობა გაიზარდა 3 %-ით.



	იმპორტი	ექსპორტი	სხვა
2018	219 581	49 433	28 745
2019	228 580	52 184	31 802
2020	193 675	53 563	29 918

წინასწარ დაბეჭდილი დეკლარაციები

თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში წინასწარ დაიბეჭდა დეკლარაციების 41 %, მაჩვენებელი 2019 წელს 35 % შეადგენდა.



საქონლის საბაჟო დეკლარაციებით გაფორმებული საქონლის ღირებულება

2020 წლის მდგომარეობით, 37,892,156,991 ლარის ღირებულების საქონელი გაფორმდა; 2019 წელს - 38,676,687,689 ლარის ღირებულების; ხოლო 2018 წელს - 36,805,953,969 ლარის ღირებულების.



დარიცხული იმპორტის გადასახდელი

2020 წელს დარიცხული იმპორტის გადასახდელის რაოდენობამ 5,023,779,065 ლარი შეადგინა.



	იმპორტის გადასახადი	დღგ	აქციზი
2018	133 462 546	3 397 738 732	1 334 652 235
2019	78 511 267	3 643 249 632	1 290 970 743
2020	84 239 283	3 446 851 909	1 492 687 873

საბაჟო დეკლარაცია-ფორმა 4 (მათ შორის, საფოსტო გზავნილები)

საბაჟო დეკლარაცია-ფორმა 4-ის რაოდენობა 2020 წელს, წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 9 %-ით გაიზარდა.



საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული მგზავრები და სატრანსპორტო საშუალებები

გლობალური პანდემიის ფაქტორის გათვალისწინებით, 2020 წელს, საქართველოს საბაჟო საზღვარზე შემცირდა გადაადგილებული მგზავრებისა და სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა.



საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული სატვირთო სატრანსპორტო საშუალებები

2020 წელს, საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული სატვირთო სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა წინა წელთან შედარებით 14 %-ით გაიზარდა.



საფოსტო გზავნილები

2020 წელს, საფოსტო გზავნილების რაოდენობა წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 8 %-ით გაიზარდა.



წინასწარი გადაწყვეტილებები

2020 წელს გაიცა 24 წინასწარი გადაწყვეტილება საქონლის მიმართ სასაქონლო კოდის განსაზღვრის შესახებ და 1 წინასწარი გადაწყვეტილება საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის შესახებ.



სასაქონლო ექსპერტიზები

2020 წელს 5867 სასაქონლო ექსპერტიზა ჩატარდა.



წარმოშობის სერტიფიკატები

2020 წელს 41 187 წარმოშობის სერტიფიკატია გაცემული.



ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ნებართვები



არაიოდიზებული მარილის იმპორტის ნებართვები



რეგისტრირებული ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების რაოდენობა



სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული კონტროლი

სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული კონტროლისას ლაბორატორიული კვლევის მიზნით აღებული ნიმუშები და გამოვლენილი დარღვევები



	ვეტერინარული ნიმუში	ფიტოსანიტარული ნიმუში	ვეტერინარია-სასაქონლო პარტიების რაოდენობა, სადაც გამოვლინდა დარღვევა	ფიტოსანიტარია-სასაქონლო პარტიების რაოდენობა, სადაც გამოვლინდა დარღვევა
2018	2 340	2 478	76	79
2019	2 224	1 804	72	78
2020	1740	1433	25	52

ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმებისა და სურსათის/ცხოველთა საკვების გენმოდიფიცირებული კომპონენტების შემცველობის კვლევის მიზნით ლაბორატორიაში გაგზავნილი ნიმუშები და დადასტურებული შემთხვევები



	ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმის კვლევის მიზნით ლაბორატორიაში გაგზავნილი ნიმუშების რაოდენობა	სურსათის/ცხოველთა საკვების გენმოდიფიცირებული კომპონენტების შემცველობის კვლევის მიზნით ლაბორატორიაში გაგზავნილი ნიმუშის რაოდენობა	სასაქონლო პარტიაში ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების არსებობის დადასტურებული შემთხვევების რაოდენობა	სასაქონლო პარტიაში გენმოდიფიცირებული კომპონენტების შემცველობის დადასტურებული შემთხვევების რაოდენობა
2018	2 556	846	1	38
2019	1 979	832	0	16
2020	887	349	6	10

სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული ნებართვები და სერტიფიკატები



	ფიტოსანიტარია - იმპორტის ნებართვა	ფიტოსანიტარია - ექსპორტ/რეექსპორტის სერტიფიკატი	ვეტერინარია - იმპორტის ნებართვა	ვეტერინარული სერტიფიკატი	გემის სანიტარული კონტროლისგან გათავისუფლების მოწმობა	ვაქცინაციის მოწმობა
2018	925	1 778	159	309	60	38
2019	1 223	4 084	166	701	93	137
2020	1131	6069	106	762	87	9

არაცხოველური წარმოშობის სურსათში მძიმე მეტალების ლაბორატორიულ კვლევას დაექ-ვემდებარა 92 ნიმუში, მცენარეულ ცხიმზე დამზადებულ სურსათში ტრანსცხიმების შემცველობის ლაბორატორიული კვლევას - 104 ნიმუში.

საქონლის გაშვების შემდგომი კონტროლი







საბაჟო მიმართულებით გამოვლენილი სამართალდარღვევები

2020 წელს, საბაჟო მიმართულებით გამოვლინდა 22 363 სამართალდარღვევის ფაქტი; 14 590 საბაჟო სამართალდარღვევის ფაქტზე სანქციის სახით დარიცხულმა თანხამ შეადგინა 13 777 419 ლარი, ხოლო 7710 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე სანქციის სახით დარიცხულმა თანხამ შეადგინა 4 065 180 ლარი.

სამართალდარღვევები

გამოვლენილი სამართალდარღვევების რაოდენობა წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით შემცირებულია 20 %-ით. თუმცა გაზრდილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების რაოდენობა და სანქციის სახით დარიცხული თანხა.







სახელმწიფო საზღვარზე ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების, ძვირფასი ლითონების და თვლების, იარაღის და სიგარეტის უკანონო გადაადგილებასთან დაკავშირებული სამართალდარღვევების რაოდენობა.

შენიშვნა: გლობალური პანდემიის ფაქტორის გათვალისწინებით, 2020 წელს, საზღვარზე გამოვლენილი სამართალდარღვევების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა.





კინოლოგიური შემოწმების შედეგად გამოვლენილი სამართალდარღვევების რაოდენობა



სკანერით შემოწმებული სატრანსპორტო საშუალებები და გამოვლენილი სამართალდარღვევების რაოდენობა



2020 წელს, სატრანსპორტო საშუალებების დასკანერების შედეგად გამოვლინდა სამართალდარღვევის **161** ფაქტი, ბიუჯეტის სასარგებლოდ დარიცხული თანხა - **190 314** ლარი.

დავების მაჩვენებლები





2020 წლის მდგომარეობით, დასრულდა - 670 სასამართლო დავა, მათ შორის - 72 ცრუმაგიერობა. 2020 წელს, 2019 წელთან შედარებით ინიცირებული და დასრულებულია ცრუმაგიერობის 1.5-ჯერ მეტი საქმე.





032 2 299 299

ბორგასლის ქ. N16, 0114

INFO@RS.GE

WWW.RS.GE